ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათს, იანვრის 17-ს საქ. მემ. სოც.-ფედ. პარტიის მთავარს ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სწორედ ექვს საათზე

# ამხ. თედო ღლონტი გააკეთებს საჯარო მოხსენებას

# მოსკოვი

დარბაზში შესვლა ბილეთებით, რომელიც დარიგდება ორშაბათს დილის 9 საათიდან „ტრიბუნა“-ს რედაქციაში.

## დეკრეტი № 88

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.**

**საფონდო კომისიის შესახებ.**

სამუშაო ხელფასის ფონდების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყოს საფონდო კომისია, შემდგარი ექვსი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავენ (თითო-თითოს) სახალხო კომისარიატები: სასურსათო, შრომისა და ფინანსთა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგების განყოფილება, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა კოოპერაციის ცენტრი.

**შენიშვნა 1:** საფონდო კომისიის პირადშემადგენლობას დაამტკიცებს ეკონომიური საბჭო.

**შენიშვნა 2:** საფონდო კომისიის წევრთ დანიშნებათ მუდმივი მოადგილენი, რომელთაც დაამტკიცებს ეკონომიური საბჭო

**შენიშვნა 3:** საფონდო კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს ეკონომიური საბჭო კომისიის წევრთაგან.

2. საფონდო კომისიის დანიშნულებას შეადგენს:

ა. აღრიცხვა და ხელშეწყობა მიკუთვნება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისათვის სასურსათო და ფართო მოხმარების საგნებისა და ფულის ნიშნებისა.

ბ. განაწილება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისა,—შრომისა, შრომის სასყიდლის მომქმედი ნორმების თანახმად,—მომხმარებელთა ცალკე ჯგუფებს შორის, რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან და აგრეთვე მაზრებსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის.

გ. დაწესება ფასისა პროდუქტებისა და საქონლისათვის, რაც სამუშაო ხელფასის ნატურ-ნაწილად გაიცემა.

დ. განსაზღვრა იმ საწარმოო და სხვა დაწესებულებათა, რომელთა მუშა-მოსამსახურენი გადაყვანილ უნდა იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე ან ამისაგან გამორიცხულნი.

ე. განხორციელება სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების რიცხვის შემცირებისა განსაზღვრულ ნორმამდე და აგრეთვე შემუშავება ამ ნორმების უმეტესად შემცირების პროექტისა გარემოებათა ცვლილების მიხედვით.

ვ. თვალყურისდევნება, რათა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდში მისი ცალკე ნაწილების თავის დროზედ შედიოდეს.

3. საფონდო კომისია დაანაწილებს სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდს:

ა.—მთავარ-განყოფილებებსა, სამმართველოებსა და უწყებებზე—დაწესებულებათათვის (რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან 5)—მთელი უწყების შტატის მიხედვით; საწარმოო დაწესებულებათათვის-კი საბიუჯეტო—სანაჭრო სისტემით, ხოლო იმ პირობით, რომ გადამეტებული არ იქნეს ამ მრეწველობის ძველი დარგისათვის დაწესებული შტატები.

ბ.—ცალკე საწარმოო და სხვა დაწესებულებებზე: ამასთანავე, ქალაქებისა და მაზრების ხვედრი ნაწილები შეერთებულ უნდა იქნეს, შრომის სასყიდლის ნორმების მიხედვით, იმ განაწერთა თანახმად, რომელსაც შეიმუშავებენ მთავარი განყოფილებანი, სამმართველოები და უწყებანი.

4. საფონდო კომისიის უფლებამოსილებით უკანონოდ ჩაითვლება ყოველგვარი ცვლილება ფონდის რაოდენობისა და მისი ნაწილების შეფარდებისა, რაც განსაზღვრულია კომისიის მიერ მთავარი განყოფილებათა, სამმართველოთა და უწყებათა მუშა-მოსამსახურეების სამუშაო ხელფასისათვის; აგრეთვე უკანონოდ ჩაითვლება, საფონდო კომისიის უფლებამოსილოდ, ყოველგვარი ასიგნება ფულისა, სასურსათო, ნივთობრივი, მასალისა და სხვა რესურსებისა მთავარ განყოფილებათა სამმართველოთა და უწყებათათვის შრომის სასყიდლის მიცემისა და ამ რესურსების დახარჯვის მიზნით.

5. საფონდო კომისიას უფლება ეძლევა შეიმუშაოს დებულებანი, ინსტრუქციები და წესები თავისი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე—ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათან და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილთა მქონებლებთან ურთიერთობრივი დამოკიდებულებისათვის და აგრეთვე, საერთოდ, ამ დეკრეტის განვითარებისათვის.

6. საფონდო კომისიის დებულებანი, ინსტრუქციები და წესები ძალაში შედის ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. უკეთუ რომელიმე დაინტერესებული უწყება თანახმა არ იქნება საფონდო კომისიის დადგენილებისა—შეუძლიან საკითხი გადასაწყვეტად ეკონომიურ საბჭოში გადაიტანოს, ხოლო ამით საფონდო კომისიის დადგენილების აღსრულება არ შეჩერდება.

3) დეკრეტი ეს ძალაში შედის 1921 წ. დეკემბრის 17-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი, ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის „10„

ტფილისი—სასახლე.

## პატარა ფელეტონი

### მესამე

რაც რომ მახსოვს ჩემი თავი,
არა ერთხელ მიმიმართავს სულელურ ჰიქისთვის,
რომ ღვინით მომებანა საკუთარი ტვინი.
მაგრამ ხულიგანი ქალა
და ველური სიფხიზლე
მუდამ ყოფილა გამარჯვებული,
როგორც „მელლერის“ ცეცხლუხები კასსა.
ალბად იცნობთ ჩემს გაბრაზებულ სახეს,
როცა გულს გადავაგდებ ტალახში.
მინდა დავაპირო დედამიწას ფეხი,
საშინლად მიყვარს ბევრი სვანი ბარით ხელში.
მგონი, მოგეწონებათ ჩემი გენიალური პროექტი.
ქალაქის საბჭო თანახმაა
იჯარით გადმომცეს ერევნის მოედანი.
იქ უნდა გაშენდეს დიდებული ვენახი.
ვინც შაითანში სწოვეს ვირთაგვები,
ყველა გამოფხიზლდება პოეტის მამულში.
იქ ჩვენ გავმართავთ უცნაურ ყაბახებს
სირაჩხანა გამოვა იორღა ცხენებით.
ვინ იქნება ისე ბედნიერი,
რომ მედინის „ვაბერნეს“ მოწყვიტოს ტევანი.
იქ მზარეულები დგჭავენ დღეს ჩახთებს,
ვით სოველ ჩალას უჯიშო ძროხა.

რაჟდ. გოგოხია.

### საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

**სამეურნეო გადაცემა.**

რევკომმა მოიწონა დავით ქებაძის მიერ წარდგენილი ხელშეკრულების პროექტი სასტუმრო „ორიანტის“ ძასხე იჯარით გადაცემის შესახებ—ზოგიერთი ცვლილებებით შეტანით.

**საბინაო ოთხეული.**

ბათომის საბინაო განყოფილება გაუქმებულ იქმნა. მაგივრად შედგენილია საბინაო ოთხეული შემდეგი პირთაგან: პროფესიონალურ კავშირების საბჭოს წარმომადგენლები ოკუჩავა (თავმჯდომარე) და ბრესლავეცი, ჩეკის წარმომადგენელი—ასათიანი და ერთი წარმომადგენელი წითელ მეჯლისიდან. საბინაო ოთხეულს მიეცა უფლება გააუქმოს საბინაო განყოფილების აგენტების კადრი და მათ ნაცვლად შეადგინოს საგარიგო სამეულები—ორი პროფკავშირის და ერთი წითელ მეჯლისის წარმომადგენლებისაგან.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** ივანე ჩიკვაშვილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბ.-სამეთ. ფაკულტეტის. გთხოვთ ჩაბარება გიორგი გარსევანი-მეკუთხედელაშვილი. 181

ექიმი

**ნ. ა. არშაკუნიძე**

გამოცდილი ძიდება

სპეციალურად სიფილისი, სუსუმატი და მისი შედეგები; საქმიანობრივი დაბრუნების. ძიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის ქუჩ. ამალიერუშენის ქ. № 5. (Новообебутовская.) 1

### ქართული ენა თავითგანვე მარჯვივ მდაბიურია

I

როგორაც ჩვენს მწერლობაში, ისევე ჩვენს საზოგადოებაშიაც ბევრი ყალბი საკულტურო შეხედულობა არის გავრცელებული. ასეთია, სხვათა შორის ის აზრი, ვითომც დღევანდელი სამწერლო ენა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შემოქმედობის ნაყოფი იყვეს, ვითომც იმათ გამოსვლამდე ქართული სამწერლო ენის გამდაბიურებას მოქმედება არავინ ჰყოლოდეს.

ჩვენი საზოგადოება და ნასწავლი კაცობა მეტ წილად ქართული კულტურის, განსაკუთრებით ქართული მწერლობის ისტორიის ნაკლებად ეწყობა და არა გასაკვირველია, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის იქით ვერაფერს ჰხედავდნენ, ქართული ენის ალნაქვსის ნაკლს ვერ ჰგრძნობდნენ.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ალნაქვსის ნაკლს, ამ რამდენისამე წლის წინ, შეეხნენ ჯერ სილოვან ხუნდაძე და მერმე მელიტონ კელენჯერიძე. შეიძლება ზოგიერთმა თაყვანისმცემელმა კიდეც უსაყვედუროს მათ უკადრო გასამართლება, მაგრამ მათი გამოსვლა ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი საზოგადოება ისე, როგორაც ევროპის კულტურის ერებს სჩვევია, ავკარგს ერჩებს არა თუ მოკვდავთ, არამედ უკვდავთ ნაწერებშიაც, რადგანაც მათ ნაწერს ალმხსნელობითი გავლენა აქვს მომავალ თაობაზე. კრიტიკოსებს ჰსურთ, სხვების გაფრთხილებით მაინც, ბოლო მოუღონ უკვდავთ ალნაქვსის ზოგიერთ სიმახინჯესა. კრიტიკოსი, რა საკვირველია, უნაკლო არ არის. შეიძლება ხანდახან ისიც სცდებოდეს თვითონვე, მაგრამ ყურ დასაგდებია ის გარემოება, რომ მამხილებელი იბადება იმ საზოგადოებაში, რომლის გადაგვარებულ ფსიხიკასაც ერთმანერთში ვერ გაურჩევია სისწორ—სიმრუდე ენისა.

რამდენად მართალია, რომ ქართული ენის გამდაბიურების თაოსნობა პირველად წილად ჰხვდათ მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს და მათ შორის განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელსა, რომელნიც ამის გამო უნდა ჩაითვალნენ ქართული სამწერლო მდაბიური ენის შემოქმედად? აქვს თუ არა ქართულ ენას არა მდაბიური ელემენტი და თუ აქვს, რამდენად ბუნებრივია?

ქართული მწერლობა, უეჭველია, დაიბადა ქრისტიანობის შემოღებისათანავე IV საუკუნეში, მაგრამ ქართული ხელთნაწერის თარიღი VIII საუკუნის უადრესი არ მოგვეპოება. ხელთნაწერების განხილვა ჰმოწმობს, რომ მათი ენის გრამმატიკული განვითარება უკვე დასრულებულა. ნუთუ გულში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ხელთნაწერის ტექსტი უფრო ძველია, ვიდრე მისი გადაწერის თარიღი, ძაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველ მწერალს უკვე შემუშავებული განვითარებული ენით დაუწყია წერა.

ჩვენ არა მოგვეპოება ძველი ტექსტი გაუგებარი ისეთი, როგორიცაა აქვს ფრანგულ მწერლობას—ქადაგებანი გრიგოლ ტურელ ეპისკოპოსისა (VI ს.) ქართული ენა ძველადვე აღვილ გასაგები, ბუნებით მსუბუქი, ადვილ გამოსათქმელ გასაგონია. თუ მოიპოება, ზოგი რამ ნაწერი ძნელი გასაგები ძველი სასულიერო, თუ საერო ნაწერი ძველი, მათ გვეგონით იქვე ხელის ხელ საგიოგრაფიები მარცვლიტები ენა, რომელიც დიადია თავისი მარტივის ალნაქვსითა.

იმ ძველი ნაწერის ალნაქვსის, თუ მინაარსის გაუგებრობა ზოგჯერ იმას გამოუწვევია, რომ ქემთა ვითარებით დაკარგული ტექსტის აღსადგენად ახლად უთარგმნიათ უნიკო და უვიც მწერლებს და მით შეუვსიათ ნაკლი. ასეთი ყოფა დასდგომია ბიბლიას. ძალლიანი ენით გადმოუღიათ,—საერთოდ დავით წინასწარმეტყველის საგალობელნი. მარტივია ალნაქვსის ათონური სახარებისა, მაგრამ უფრო მარტივია ენა ძეთერთმეტე საუკუნემდე ნათარგმნი სახარებისა, დასამოწმებელად მეტთაქვს მხოლოდ ორიგინალი კვთილ ხასიტყვის ძეგლითები, რათა ცხად ვჰყოთ ალნაქვსის თანდათანი განხილვა.

მეხუთე მეთე საუკუნემდე, როგორაც არის მაგალითად ცხოვრება არჩილ ჰარმეულისა ლეონტი მროველის მიერ, მეათე საუკუნისა გიორგი ხანძთელისა ცხოვრება გიორგი მერჩულის მიერ, ნინოს ცხოვრება არსენ იყალთოელის მიერ და ხაგალთბელნი მიქელ მოდრეკილისა და მეთერთმეტე საუკუნისა მოძღვრება დავით ჯიბისძისა საღმთო წერილის უმზა ადგილებთან შედარებით ჩინებული ქართული ენით არის დაწერილი. მათ ავტორებს ეტყობათ მისწრაფება წმინდა და გასაგები მწიგნობრობისაკენ.

დავუგდოთ ყური მაგალითებსა:

მეათე ს.-ისა ცოდვა არა ჰყოფს ... სა ძას. ადიდეთ გულის წყალობით, დაუპყრობელითა, არამედ სიმშვიდით პირველისაებრ და ლიქნით ევ ... ბა. არცადა აღთქმითა და ქადებითა ნიჭთა და პატივთათა, არამედ ძყოინვარედ და საზეპოროდებით მიუგო წიდოსა ძას; ყინთაგან არა გეხებს ცხოვრება თავისა შენისა და უპატიოესი ძენი და ოქროსა ძირთ დიდეც სასოება, ჯერ არა, რათა შეაცა მიქვედ ორიოდ.

(ცხოვრება არჩილ პირველისა ლეონტი მროველის მიერ.)

X ს. რამეთუ იყენით ერთგვარ არს ქვეყანა უდაბნოთა მათ ქ ქვეილად შეზავებულ ბზიაგან და მყარისა. რამეთუ არცა ფიცხელი სიცხე შეუძლავს მათ და არცა გარდარეული სიცივე მოუღის მყოფთა მისთა, არამედ განწყობილი დგას თვისსა საზღვარსა ზედა, უხმარი, ურთიერთი მზეო; რამეთუ კაცთა ხატი ფე ხთაბი არიადის თიხისა ემონეიან სლვასა მათსა.

(ცხოვრება გრ. ხანძთელისა გიორგი მერჩულის მიერ).

X ს. რამეთუ დგა კაცი ერთი საპილენძია, და გვამსა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქროსა და სამხარნი მისნი ოქროსანი და თვალად მისსა აქვნდეს ქვა ბივრიტი და ივაკინთი. ხოლო ხელსა აქვნდა ხრმალი, რომელი, ვითარცა ელვა, საზარულად იქცეოდა ხელსა შინა მისსა, ვიცა რომელი შეეხებიან სიკვდილად ნარიხიორის თავი და გახიკითხავენ და იტყვიან თვითოეული თავსა შორის თვისსა. ნუ უკვე დავაკლო ერთგულობითა მსახურებასა, ანუ სცთა საღამე სიტყვად ეპოქალსათანა, ანუ სიკვდილ დამხვდა საღამე ძვირსა დვთად,.

(ცხოვრება ნინოსი არსენ იყალთოელის მიერ).

X ს. ხოლო სიმრავლე ალმერბენთა ღაღადებდის და ეტყოდის არა. მოიქეც რჯულისა ჩვენისაებრ და იყო შენ ყოველთა უხუცეს; ხოლო არა ღალადებდის და ეტყოდის, არა, არა მიხვდეს მე თქვენგან ქრთამი ოქროა, არცა ამთრაქი. არა ვერ ვეძიებ ცხოვრებასა მისის საწუთროისასა.., არამედ ვითარ გნებავს ყოვლადმათი აღსასრული, რამეთუ თუ ქიოვინ არს მიმღებელ სულისა წმიდისა (ხაგალთბელნი მიქელ მოდრეკილისა).

XI ს. სვეტი წყალსა ქუთაისთაგან შეხთა,.. ნუ მიხვალ წყაროსა მიმართ უცხოსა, არამედ თვისთა მონაგებთაგან შეიკრებდი ნუ ეშმაკის სარწმუნოსა ცხოვრებისა შენისასა. უკეთუ გაქვს რკალი, გინა სამოსელი, გინა კარავი გინა სხვა რამე, ყოველივე წარავე, ინებე ყოვლისავე განსყიდვა თვისიერ თავისუფლებისა ოდენ შენისა.

(მოძღვრება დავით ჯიბისძისა) რა სრულითებრივად აღწერია ჩვენთვის არჩილის მტანჯველის სულისკვეთება ლეონტი მროველსა, ბუნების თვისებანი გიორგი მერჩულსა, არმაზ კერპის ვითარება არსენ იყალთოელსა, აბოს და ტარიანთ ღაღადება მიქელ მოდრეკილსა და რა კარგად ქმოძღვრებია ჩვენთვის თავისუფლების დაცვა დავით ჯიბისძესა.

პეტრე მირიანაშვილი.

(შემდეგი იქნება)